ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.48222776**
თარიღი:**04/10/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის" უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N118 განკარგულების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ: 56 (ორმოცდათექვსმეტი) ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი, რომელთა ღირებულება შეადგენს 98 000 (ოთხმოცდათვრამეტი ათასი) ლარს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას".

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა მოამზადოს მიღება-ჩაბარების აქტი ქონების გადაცემის შესახებ.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (მ. კანკაძეს).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია N2 • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY N2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM